შ ე ნ ი შ ვ ნ ი ს ფ უ რ ც ე ლ ი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკურიბიუჯეტის შესახებ"
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე"
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე

	გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები	**გათვალისწინების მდგომარეობა**
1	**საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი**	
	კომიტეტის მოსაზრებით არაფინანსური აქტივების მუხლის ზრდა, გასული და მიმდინარე წლის პირველი კვარტლის შედეგების გათვალისწინებით საჭიროებს საფუძვლიან ანალიზს.	არ არის გათვალისწინებული
2	**საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის**	
	1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი კანონის პროექტის უმაღლეს საბჭოში განხილვის პროცესში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრების (დავით გაბაიძე, მარინე გვიანიძე, ფრიდონ ფუტკარაძე, დავით ბაციკაძე, ცოტნე ანანიძე, ილია ვერძაძე, ტიტე არუშიძე) მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში ინიციირებული და განხილვის სტადიაში მყოფი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ" (№09-01-08/29, 19.05.2022). „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის თანახმად, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით გათვალისწინებულ საარჩევნო კომისიებში (უსკო, საოლქო საარჩევნო კომისია, საუბნო საარჩევნო კომისია) წევრთა იგივე რაოდენობის განსაზღვრა ხდება, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" გათვალისწინებული საარჩევნო კომისიებისთვის (ცესკო, საოლქო საარჩევნო კომისია, საუბნო საარჩევნო კომისია). ამის პარალელურად პროექტით გათვალისწინებულია უსკოს პროფესიული ნიშნით დასაკომპლექტებელ - მუდმივ წევრთა 2-ით გაზრდა, როგორც საარჩევნო, ასევე არასაარჩევნო პერიოდში. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში განსახორციელებელი ცვლილება გავლენას ახდენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, მათ შორის იწვევს უსკოს საშტატო რიცხოვნობის ზრდას. აღნიშნულიდან გამომდინარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-7	არ არის გათვალისწინებული

	მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნის გათვალისწინებით, საკანონმდებლო პაკეტი უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2022 წლის 24 მაისის №09-02-16/263 წერილით წარდგენილი იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისათვის. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ 2022 წლის 8 ივნისის №3349/02 საპასუხო წერილით თანხმობა განაცხადა საკანონმდებლო პაკეტით გათვალისწინებული ცვლილებების განხორციელებაზე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის შესაბამის მუხლებში მიზანშეწონილია განხორციელდეს შესაბამისი კორექტირებები, რასაც იწვევს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში განსახორციელებელი ცვლილებები.	
	2. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის პირველი მუხლის მე-5 პუნქტი იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „5. 24-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამები და ქვეპროგრამები თანახმად დანართისა.“.	არ არის გათვალისწინებული